112-ის დროით...

№16,
დეკემბერი, 2014

112 შსს-ს კამპანიას „არა ძალადობას“ უერთდება (გვ.8-9)

112-ის ნარმოადგენლები HeERO-ს კონფერენციაზე (გვ.10-11)

შსს-ს საჯავშნოებმოძმეთ აქციას 112 შეუერთდა (გვ.14)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, გვანცა მეშველიანი, მარიამ ჯმუხაძე, დავით ჭანტურია, შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

2014 წელი 112-ში გვ.5-7

112 შსს-ს კამპანიას „არა ძალადობას" უერთდება გვ.8-9

საქართველოს 112-ის წარმომადგენლები HeERO-ს კონფერენციას დაესწრნენ გვ.10-11

ჯორჯიის შტატის საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტები 112-ს ეწვივნენ გვ.12

112-ის საინფორმაციო სტენდები საქართველოს აეროპორტებში განთავსდა გვ.13

შსს-ს საქველმოქმედო აქციას 112 შეუერთდა გვ.14

გვ.15 უცნაური ზარები

გვ.16 911-ის დისპეტჩერებმა შობა გადაარჩინეს

გვ.17 იოჰანესბურგში 24 საათიანი კრიზისული ცხელი ხაზი შეიქმნა

გვ.18-21 ასტროლოგის რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც 2015 წელს წარმატებას მოგიტანთ

112 გიბრუნებენ შორეულ-ახალი წელის!
გისურვებენ წარმატებების ბირთვი ცხოვრებაში
ლა სამსახურებრივ სფეროში!

2014 წელი 112-ში

იანვარი

112-მა საიმიჯო პროდუქცია განაახლა. /2014 წელი 7 იანვარი/

თებერვალი

საქართველოს 112-მა 112-ის დღე აღნიშნა, რომლის ფარგლებშიც ფოტო და ისტორიების კონკურსი ჩატარდა. ღონისძიებას შს მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე, ესწრებოდა.
/2014 წელი 11 თებერვალი/

მარტი

112-ის თანამშრომლები პარლამენტში ქალთა დღის ღონისძიებას დაესწრნენ.
/2014 წელი, 8 მარტი/

112-ის ოპერატორებმა სასწავლო კურსი „მედიქლაბჯორჯია“-ში გაიარეს.
/2014 წელი, 11 მარტი/

ბელარუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი სტუმრად 112-ში.
/2014 წელი, 12 მარტი/

სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეების ვიზიტი 112-ში.
/2014 წელი, 27 მარტი/

ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი 112-ში.
/2014 წელი, 28 მარტი/

აპრილი

საგანგებო ნომრის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენცია.
/2014 წელი, 2 აპრილი/

112 -ის წარმომადგენლების ვიზიტი EENA-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე.
/2014 წელი, 4 აპრილი/

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 112-ის წარმომადგენლები მოხუცთა და ინვალიდთა სახლს ესტუმრნენ. /2014 წელი, 18 აპრილი/

გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი სტუმრად 112-ში. /2014 წელი, 25 აპრილი/

ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი 112-ში.
/2014 წელი, 30 აპრილი/

მაისი

ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის კრიზისებზე რეაგირების დეპარტამენტის აღმასრულებელი დირექტორის, აგოსტინო მიოცოს ვიზიტი 112-ში.
/2014 წელი, 6 მაისი/

112 კლასიკური მუსიკის (ხელოვნების) საერთაშორისო ფესტივალის - „მომავლის ვარსკვლავები 2014“-ის მხარდამჭერია. /2014 წელი, 12 მაისი/

ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო და სამაშველო დეპარტამენტის დირექტორი, რემიგიუს ბანიულისი სტუმრად 112-ში.
/2014 წელი, 15 მაისი/

ავსტრიის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „112“-ში. /2014 წელი, 20 მაისი/

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 112-მა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებთან ერთად, საკუთარი კუთხე წარმოადგინა. /2014 წელი, 26 მაისი/

112-მა საზღვაო და სამთო კურორტებზე, საინფორმაციო ბანერები განათავსა. /2014 წელი, 28 მაისი/

112-ის წარმომადგენლების ვიზიტი შვედეთში. /2014 წელი, 28 მაისი/

112-ის დეპარტამენტი პოლიციელის დღეზე. /2014 წელი, 31 მაისი/

ივნისი

შსს-მ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს 112-ში უმასპინძლა.
/ 2014 წელი, 1 ივნისი/

112-მა ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა. /2014 წელი, 24 ივნისი/

გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის დელეგაციის ვიზიტი 112-ში. /2014 წელი, 25 ივნისი/

ივლისი

შინაგან საქმეთა მინისტრმა 112-ის თანამშრომლებს მადლობის სიგელები გადასცა. /2014 წელი, 9 ივლისი/

აგვისტო

თბილისის მერი 112-ს ესტუმრა.
/2014 წელი, 14 აგვისტო/

112-მა მასმედიის წარმომადგენლებისთვის მედიატური ჩაატარა.
/2014 წელი, 22 აგვისტო/

112-ს აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი ესტუმრა. /2014 წელი, 22 აგვისტო/

სექტემბერი

112 პროექტში - „წიგნი ყველა სოფელს“ ჩაერთო.
/2014 წელი, 10 სექტემბერი

112-ის ოპერატორებმა სტრესის მართვის ტრენინგი გაიარეს.
/2014 წელი, 17 სექტემბერი/

112 შშმ პირებს SMS სერვისს და ვიდეო ზარს შესთავაზებს.
/2014 წელი, 19 სექტემბერი/

112-ის დირექტორის მოადგილე გადაცემაში „უფლება და თავისუფლება“.
/2014 წელი, 26 სექტემბერი/

112-მა UNDP-ის კამპანიის, ინოვაციების კვირეულში მიიღო მონაწილეობა. /2014 წლის, 26-28 სექტემბერი/

112-ის საინფორმაციო ბანერები საქართველოს რეგიონებში.
/2014 წელი, სექტემბერი,/

ოქტომბერი

პატრიარქმა შსს-ს 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები დალოცა.
/2014 წლის, 12 ოქტომბერი/

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი 112-ში.
/2014 წლის, 21 ოქტომბერი/

ნოემბერი

112-ს სამუშაო ვიზიტით რუმინელი ექსპერტი ესტუმრა.
/2014 წელი, 6 ნოემბერი/

112-ის კორპორატიული ჟურნალის, ფოტოკონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ.
/2014 წელი, 16 ნოემბერი/

112-ს სამუშაო ვიზიტით ფინელი ექსპერტი ეწვია.
/2014 წელი, 24 ნოემბერი/

დეკემბერი

112-ის საინფორმაციო სტენდები საქართველოს აეროპორტებში განთავსდა. /2014 წელი, 2 დეკემბერი/

საქართველოს 112-ის წარმომადგენლები HeERO-ს კონფერენციას დაესწრნენ. /2014 წელი, 4 დეკემბერი/

112 შსს-ს კამპანიას „არა ძალადობას!“ შეუერთდა.
/2014 წელი, 16 დეკემბერი/

შსს-ს საქველმოქმედო აქციას 112 შეუერთდა.
/2014 წელი, 25 დეკემბერი/

112 შსს-ს კამპანიას „არა ძალადობას" უერთდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112-ის თანამშრომლები უერთდებიან შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის, ინიციატივით დაწყებულ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას.

112-ის ოპერატორები, სოლიდარობას უცხადებენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მოსახლეობას მოუწოდებენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკონ 112-ზე, ვინაიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 2014 წლის 25 ნოემბერს დაიწყო.

კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა.

საქართველოს 112-ის წარმომადგენლები HeERO-ს კონფერენციას დაესწრნენ

2014 წლის, 27-28 ნოემბერს, ესპანეთში, ქ. მადრიდში HeERO-s (Harmonized eCall European Pilot) დასკვნითი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, რომელსაც საქართველოს 112-ის წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციის ფარგლებში შეჯამდა HeERO 2-ის პროექტის შედეგები და ჩატარებული სამუშაოები.

HeERO-ს პროექტი 2011 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და გულისხმობს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, eCall მოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანიდან საგანგაშო სიგნალისა და ლოკაციის შესახებ ინფორმაციის პირდაპირ 112-ში გაგზავნას.

HeERO-ს პროექტში ჩართულმა თითოეულმა ქვეყანამ, საპილოტე ვერსიების სახით, კონფერენციის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და eCall-ის შესაძლებლობების დემონსტრი-

რება მოახდინეს.

2017 წლის 1 ოქტომბრიდან 112-ს, ევროპის მასშტაბით, შესაძლებლობა ექნება eCall-ის საშუალებით მიიღოს შეტყობინება, ხოლო 2018 წლის პირველი ნახევრიდან, ევროკავშირის კანონმდებლობით, eCall სავალდებულო გახდება ყველა ტიპის ავტომანქანისათვის.

კონფერენცია ევროკომისიის ეგიდით, ERTICO ITS EUROPE-სა და European Emergency Number Association-თან (EENA) კოორდინირებულად ჩატარდა. მასპინძელი მხარე კი ესპანეთის საპილოტე პროექტის კოორდინატორი Direccion General de Trafico (DGT) იყო.

ღონისძიებას 40-ზე მეტი ქვეყნის, 200-მდე დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის საგანგებო სიტუაციების სამსახურების და მობილური ოპერატორების წარმომადგენლები.

HeERO-ს პირველი ეტაპი სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (2011-2013 წ.წ) და 9 ევროპული ქვეყანა (გერმანია, ხორვატია, ჩეხეთი, ფინეთი, საბერძნეთი, იტალია, ჰოლანდია, რუმინეთი და შვედეთი) იყო ჩართული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებულ სამუშაოებში. HeERO 2 დაიწყო 2013 წელს და 2 წელი გაგრძელდება, მეორე ეტაპს 6 ქვეყანა შეუერთდა (ბელგია, ბულგარეთი, დანია, ლუქსემბურგი, ესპანეთი და თურქეთი). ასევე, აღნიშნული პროექტის ასოცირებული პარტნიორები გახდნენ სხვა ქვეყნებიც, ეს სტატუსი კი მათ საშუალებას მისცემს, მიიღონ სარგებელი და გაიზიარონ HeERO 1 და HeERO 2 -ის პროექტებთან დაკავშირებული გამოცდილება.

ესპანეთში ვიზიტის ფარგლებში, 112-ის წარმომადგენლები მადრიდის 112-ს ესტუმრნენ და ადგილზე გაეცნენ ოპერატიული მართვის ცენტრის მუშაობის სპეციფიკას.



ჯორჯიის შტატის საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტები 112-ს ეწვივნენ

აშშ-ის საელჩო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში. 17-18 დეკემბერს, საელჩოს დაფინანსებით, ჯორჯიის შტატის საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტები 112-ს ეწვივნენ. საქართველოს 112-ის ცენტრი სწორედ ჯორჯიის შტატის ოლქების 911 ცენტრების მოდელების მიხედვით შეიქმნა. ორი ჯორჯიის თანამშრომლობა ამ საკითხზე 2010 წელს დაიწყო.

აღნიშნული ვიზიტის მიზანი მიღწეული პროგრესის შეფასება და საგანგებო კომუნიკაციის ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაგრძელება იყო.

წყარო: http://georgia.usembassy.gov/

INL Provides Assessment for Technical Support for 112 Center (December 18)

Enlarge

Director Don Ash, Henry County 911 Center, and Director Ann Flynn, Cobb County 911 Center observing the 112 Communication Dispatcher during her work. Photo: State Dept

On December 17-18 the International Narcotics and Law Enforcement (INL) Section of the U.S. Embassy sponsored an assessment visit to the 112 Center by two Emergency Communications and Emergency Management specialists from the United States. Director Don Ash, Henry County 911 Center, and Director Ann Flynn, Cobb County 911 Center, spent two days with the staff of the 112 Center reviewing operations, policies, procedures and technical equipment. Both Directors command emergency communication centers in the metropolitan Atlanta area, and both are certified Emergency Managers. Henry County and Cobb County 911 Centers were the model used in the formation of the 112 Center during site visits in 2010 and 2011. The purpose of the assessment was to understand the progress which has been made and to further the continued collaboration between the emergency communication centers.

Enlarge

Director Don Ash, Henry County 911 Center, and Director Ann Flynn, Cobb County 911 Center posing in front of 112 Center in Tbilisi, Georgia. Photo: State Dept

112-ის საინფორმაციო სტენდები საქართველოს აეროპორტებში განთავსდა

112-მა საქართველოს აეროპორტებში საინფორმაციო სტენდები განათავსა. აღნიშნულ სტენდებში მოთავსებულია საინფორმაციო ბროშურები და ფლაერები სამსახურის მუშაობის სპეციფიკის დეტალურად გაცნობის მიზნით.

112-ის საინფორმაციო სტენდების განთავსება აეროპორტებში მნიშვნელოვანია, რათა საქართველოში შემოსულმა ნებისმიერმა ტურისტმა მიიღოს ინფორმაცია 112-ზე დარეკვის წესის, დაკავშირების შესაძლებლობების შესახებ და იცოდნენ, სად დარეკონ, როდესაც საჭიროა საპატრულო, სახანძრო-სამაშველო თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

სტენდების განთავსების მიზანია, ქვეყანაში შემოსულმა პირმა მიიღოს სრული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - 112-ის შესახებ. პროექტის ფარგლებში საინფორმაციო სტენდები თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და მესტიის აეროპორტებში განთავსდა.

შსს-ს საქველმოქმედო აქციას 112 შეუერთდა

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებული საქველმოქმედო აქციები გრძელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები მცხეთა-მთიანეთის მხარეს ეწვივნენ. კერძოდ, თიანეთის და დუშეთის სოფლების მაცხოვრებლები მოინახულეს. სამინისტროს წარმომადგენლებმა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს საკვები პროდუქტები გადასცეს.

საქველმოქმედო აქცია საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ოჯახების საკვები პროდუქტებით მომარაგებას გულისხმობს.

უცნაური ზარები

სუზი ბრენტი, ლონდონის სასწრაფო დახმარების ცენტრის დისპეტჩერი და ავტორი წიგნისა „NEE NAW: Real Life Dispatches From Ambulance Control" შემდეგ თავებში უცნაურ ზარებზე წერს.

გუნდური შეკრებები არასწორია

28 ოქტომბერი 2005

28 ოქტომბერს, ქალმა განახორციელა ზარი და განაცხადა, რომ ლონდონის ცენტრში, ერთ-ერთ ბარში შვიდი საათის განმავლობაში სვამდა ქალბატონი, რომელმაც გონი დაკარგა. როგორც გაირკვა, მთვრალი ქალბატონი,ზარის ინიციატორის უფროსი იყო.

წარმოუდგენელია უფროსისგან მსგავსი საქციელი, ამის შემდეგ, როგორ უნდა შეხედოს თანამშრომლებს თვალებში. ჩემი აზრით, დროა გადადგეს.

ფრინველის გრიპი

29 ოქტომბერი 2005

მე: სასწრაფო დახმარების ცენტრი გისმენთ, რით დაგეხმაროთ?

ის: გამარჯობა, რა ინფორმაცია გაქვთ ფრინველის გრიპის შესახებ?!

მე: უკაცრავად?

ის: ფრინველის გრიპი,შეგიძლიათ მითხრათ მის შესახებ?

მე: დიდი ბოდიში, ეს არის სასწრაფო დახმარების ცენტრი, ჩვენ არ გავცემთ მსგავს ინფორმაციებს.

ის: კარგით,შეგიძლიათ მომცეთ ნომერი, სადაც ფრინველის გრიპის შესახებ ინფორმაციას მომაწვდიან ?

მე: ვშიშობ, მსგავსი ნომერი მე არ მაქვს.

ის: სირცხვილი!

ზარი დღის განმავლობაში

15 დეკემბერი 2005

ზარის ინიციატორი: ძალიან ბევრი ვჭამე და თავს შეუძლოდ ვგრძნობ. შეიძლება მოვკვდე ერთხელ ბევრი ჭამისგან? რამდენი უნდა ჭამოს საშუალოდ ადამიანმა?

911-ის დისპეტჩერებმა შობა გადაარჩინეს

ტაკომას (ვაშინგტონის შტატი, აშშ) 911-ის საგანგებო ცენტრი ყოველდღიურად ათასობით ზარს იღებს, მაგრამ საშობაოდ მიიღეს განსაკუთრებული ზარი, რომელიც თითქოს საგანგებო დახმარებას არ მოითხოვდა.

ზარის ინიციატორი ხანდაზმული მამაკაცი იყო, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა თავის ქალიშვილთან. ის სახლში მარტო იყო, როცა ქუჩიდან ნაგვის მანქანის ხმა შემოესმა. ამიტომ გადაწყვიტა სახლიდან ნაგავი გაეტანა, მაგრამ თურმე ნაგვის ურნებში მის ქალიშვილს ბავშვებისათვის საშობაო საჩუქრები ჰქონდა დამალული. ბაბუამ მაშინვე გადარეკა დასუფთავების სამსახურში, მაგრამ მას ბოდიში მოუხადეს და უთხრეს, რომ ვერაფრით ვერ დაეხმარებოდნენ. ამის შემდგომ მან დარეკა 911-ზე და გაანდო დისპეტჩერს თავისი გასაჭირი. მას უპასუხეს რომ ეს არ არის საგანგებო ზარი, მაგრამ დახმარებას დაპირდნენ.

911-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომლებმა შეაგროვეს 700$, საინიციატივო ჯგუფმა შეიძინა საშობაო საჩუქრები, ზარის ინიციატორის ოჯახს მიუტანეს და ამით საშობაო ზეიმი გადაარჩინეს.

წყარო: www.komonews.com

იოჰანესბურგში 24 საათიანი ჯრიზისული ცხელი ხაზი შეიქმნა

სამოქალაქო უფლებების ორგანიზაციის AfriForum-ის აღმასრულებელი დირექტორის, კალი კრიელის განცხადებით, - „ეს ცხელი ხაზი ვერ ჩაანაცვლებს პოლიციის და სხვა საგანგებო სამსახურების ფუნქციას, მაგრამ მისი მეშვეობით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში აქტიურად ჩაებმება ყველა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი.“

ამ სამსახურს ექნება უფრო ფორუმის სახე და მას პირობითად ეწოდა AfriForum-911 . მასში შესაძლოა წინასწარი რეგისტრაცია, საკუთარი მონაცემების განთავსება, რათა მოხდეს საგანგებო სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და მათთვის სამუშაოს გაადვილება. ორგანიზაციაში უკვე გაწევრიანდა 115 000 მოქალაქე და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

წყარო: www.iol.co.za; www.afriforum911.co.za

ასტროლოგის რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც 2015 წელს წარმატებას მოგიტანთ

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2015 წელი ლურჯი ხის თხის წელიწადია. ეს არის მხიარულებისა და სიახლეების წელი.

თხა გამოირჩევა სტუმართმოყვარეობითა და მოთმინებით. წინა წელთან შედარებით, ხის თხის წელიწადი, ზოდიაქოს ნიშნების უმრავლესობას, მოუტანს ნათელ და პოზიტიურ ცვლილებებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ვირთხის წელს დაბადებული ადამიანებისათვის მომავალი წელი კარგი იქნება. მათ ხშირად მოუწევთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. თუკი აზრს სხვებს დაეკითხებიან, თავიანთი წარმატებების სფეროს მოსწყდებიან. ვირთხის წელს დაბადებული ადამიანებისთვის 2015 წელი ახალი წამოწყებების წელი იქნება. სწავლასა და ახალი გამოცდილებების მიღების სფეროში ისინი წარმატებას მიაღწევენ. ეს ყველაფერი მათგან ცხოვრების დიდ ტემპს მოითხოვს და სასურველია, გადატვირთვას მოერიდონ. ყურადღება მიაქციონ დასვენებისა და შრომის რეჟიმს. საყოველთაო ურთიერთობებში აპრილსა და მაისში იქნებიან იღბლიანები.

ხარის წელს დაბადებული ადამიანებისთვის თხის წელიწადი კარგი იქნება, თუ დიპლომატიურობას გამოავლენენ. წლის განმავლობაში ზოგიერთ პერიოდში ხარი მწყობრიდან გამოვა და შესაძლოა, თავისდაუნებურად ისეთი სტაბილური ურთიერთობები დაანგრიოს, რასაც შემდეგ ინანებს. მათ ასტროლოგები ურჩევენ, კონფლიქტურ სიტუაციას გვერდიდან შეხედონ და კარგად გაიაზრონ, რამდენად ღირს მისი გამწვავება. ხარის წელს დაბადებული ადამიანები ყველაზე კარგ შედეგს ფინანსების მიზიდვის სფეროში მიიღებენ.

ვეფხვის წელს დაბადებულები ზოგადად, რევოლუციონერები არიან, როგორც იტყვიან, ანარქისტები. ზუსტად ამ ნატურის გამოვლენას უნდა

მოერიდონ 2015 წელს. ვეფხვისთვის უმჯობესია, მომავალ წელს უფრო მეტად დაისვენოს, ვიდრე რაიმე კერძო ინტერესები გამოავლინოს. თხა კონტრინიციატივებს დაუპირისპირებს და ვეფხვები კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან. უმჯობესია, ვეფხვი მშვიდად მიჰყვეს თავის გეგმებს, ყურადღებით მოეკიდოს თავის შესაძლებლობებს და იმ ახალ მოთხოვნილებებს, რომლებიც მომავალ წელს გაუჩნდება. ბევრმა ვეფხვმა თავისი თავი შესაძლოა, აბსოლუტურად ახალ სფეროში აღმოაჩინოს, რაც მას წარმატებას მოუტანს. ვეფხვებისთვის თხის წელიწადი კარგია დაოჯახებისთვის.

კურდღლის წელს დაბადებულებს ახალი მეგობრები და ახალი ნაცნობობა ელოდებათ, რაც მათ დიდ წარმატებას მოუტანს. სასურველია, კურდღლის წელს დაბადებული ადამიანი მოერიდოს როგორც ფინანსურ რისკს, ასევე - აზარტულ თამაშებს, ასეთ შემთხვევაში წაგების ძალიან დიდი შანსი ექნებათ. შეიძლება, კურდღლის წელს დაბადებული ადამიანების დიდ ნაწილს გაუჩნდეს პრობლემები თვითშეფასების სფეროში. მოსალოდნელია, ძალიან კრიტიკული იყვნენ საკუთარი თავისა და გარეგნობის მიმართ, რამაც შესაძლოა, გარკვეული კომპლექსები გაუჩინოთ, მაგრამ სასურველია, ამ კომპლექსებს არ აჰყვნენ. იცოდნენ, რომ საკუთარი თავის კრიტიკა მცდარია. თუ თვითშეფასებას არ აიმაღლებენ, კარიერასა და სასიყვარულო ურთიერთობებში პრობლემები გაუჩნდებათ.

გასული ცხენის წელი დრაკონისათვის დატვირთული იყო. ამ წელს მას შესაძლებლობა ექნება, კარგად დაისვენოს. ფინანსები ბევრი შრომის გარეშეც მოვა. აუცილებელია, თხის წელში დრაკონმა ძალები აღიდგინოს, რადგან მომდევნო წელს მას ყველაფერში ხელი მოემართება. დრაკონის წელს დაბადებულმა ადამიანებმა სასურველია, პარტნიორების ძებნისას სიფრთხილე გამოავლინონ. ჯობს, ისევ შეჩვეულ პარტნიორებთან გააგრძელონ ურთიერთობა. არის ალბათობა, რომ პარტნიორების არჩევისას შეცდომებს დაუშვებენ.

დრაკონს არ სჭირდება ზედმეტი აქტიურობა. დინების მიმართულებით იაროს. თუ წლის პირველ ნახევარში იაქტიურებს, შესაძლოა, ისეთი საქმეები დაიწყოს, რომელთა გაგრძელება წლის მეორე ნახევარში გაუჭირდება, ამიტომ ისეთ საქმეს მისდიოს, რომელიც თავისი ტემპით განვითარდება.

გველის წელს დაბადებულები თავად უქმნიან თხას გარკვეულ პრობლემებს, მაგრამ წლის განმავლობაში ექნებათ ძალიან დადებითი პერიოდები. საიდანაც პატივისცემა და აღიარება სჭირდებოდათ და ამას ვერ იღებდნენ, სწორედ იქიდან წამოვა მათდამი სიმპათიები. 2015 წელს კარგია რომანტიკული ურთიერთობების დაწყება. წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია დაწინაურებაც.

ცხენის წელს დაბადებულები იმ საქმეებიდან მიიღებენ მატერიალურ შედეგს, რომელიც გასულ - წელს წამოიწყეს. მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება. ზოგადად, ჯანმრთელობის თვალსაზრისით 2015 კარგი წელია. ვინც პროფილაქტიკურ გამაჯანსაღებელ პროცედურებს ჩაიტარებს, ძალიან კარგ შედეგს მიიღებს. შესაბამისად, ცხენები შესაძლოა, არაფერმა არ შეაწუხოს. მათი ენერგია გაიზრდება. თუ უკეთესი სამუშაოს მოძებნა უნდათ, თამამად იმოქმედონ. თხის წელში მათ ხელი მოემართებათ. სირთულეებს ადვილად გადალახავენ.

თხისთვის, რასაკვირველია, კარგი წელია, მაგრამ თხის წელს დაბადებულ ადამიანს გადაჭარბებულ მოუსვენრობას არ ვურჩევ. თავად წელიწადი ადამიანებს შესთავაზებს საუკეთესო საძოვარს, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ მათ კიდევ უფრო უკეთესი მოუნდებათ, შეიძლება, ეს შეთავაზება ვერ შეირგონ. ტყუილად არაა ნათქვამი, თხა იმდენად მოუსვენარია, შეიძლება, იმდენი იხტუნაოს, რომ მგელმა შეჭამოს, ამიტომ მათ მოუსვენრობის გამოვლენას არ ვურჩევ. მშვიდად მისდიონ წელს და კარგ შედეგს მიიღებენ.

მაიმუნის წელს დაბადებული ბევრი ადამიანი დაიწყებს წუწუნს არარსებული სიმპტომატიკის მიმართ, თუნდაც ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ტყუილად ირბენენ ექიმებთან, მერე აღმოჩნდება, რომ არაფერი სჭირთ. სულ პატარა ამბავიც კი მაიმუნმა შეიძლება, დიდ ტრაგედიად წარმოაჩინოს. უმჯობესია, წლის პირველ ნახევარში ცხოვრებაში რაიმე ახალი რაციონალური მეთოდის დანერგვას მოერიდონ. ვურჩევ, რაიმე ძველ

მეთოდიკას მიჰყვნენ. ახალმა მეთოდებმა შესაძლოა, მათ სამსახური დააკარგვინოს. წლის მეორე ნახევარში მაიმუნებს გარემოებები დაეხმარება თავიანთი გონებრივი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაში.

მამლის წელს დაბადებულებმა უმჯობესია, თავიანთ ინტელექტუალურ სფეროს და ახალი ინფორმაციის მოძიებას დაუთმონ მეტი დრო. მათ შეიძლება, პრობლემები შეექმნათ საზღვრებს გარეთ, ამიტომ ვურჩევ, უცხოეთში არ გაემგზავრონ. თუ უცხოეთში არიან წასულები, ნურაფერს შეცვლიან. მათთვის კარგია განათლების მიღება. თუ უნდათ, ახალი უცხო ენა შეისწავლონ, რისთვისაც 2015 წელი საუკეთესოა.

ძაღლის წელს დაბადებული ადამიანისთვის წლის პირველი ნახევარი რთული იქნება. სამაგიეროდ, წლის მეორე ნახევარში, რომელიც 12 აგვისტოს შემდეგ დაიწყება, ისინი ადვილად შეძლებენ ისეთი პრობლემების მოგვარებას, რომელთა მოგვარება, მანამდე მათთვის ძალიან ძნელი იყო. ხშირად გამოჩნდებიან ადამიანები, რომელთა დახმარებაც მათ წარმატებას მოუტანს, ამიტომ ვურჩევთ, წლის პირველი ნახევარი ინერციით გაიარონ, კარგად დაისვენონ, 12 აგვისტოს მერე კი მათ ცხოვრებაში არსებული ყველაზე რთული პრობლემების მოგვარებაში გადაერთონ.

ღორის წელს დაბადებულ ადამიანებს წლის განმავლობაში ტყუილებს ხშირად დაუჯერებენ. თუ ღორის წელს დაბადებული პოლიტიკოსი იქნება და მოსახლეობას პრეზიდენტობის შემთხვევაში მარსზე გაფრენას დაპირდება, დაუჯერებენ, მაგრამ სასურველია, ღორმა ტყუილების თქმაში არ გადააჭარბოს. ღორს შეუძლია, ტყუილი სიკეთისთვის გამოიყენოს. თუ მის ტყუილს სიკეთე მოაქვს, მოატყუოს. მას ენდობიან, ამიტომ ისეთს ნურაფერს იტყვის, რისიც თვითონვე არ სჯერა. მისთვის არ შეიძლება ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება, ეს მის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. უმჯობესია, ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდიოს. თუ სპორტით არ იყო დაკავებული, დაიწყოს ვარჯიში. 2015 წელი მისცემს საშუალებას, თავისი თავი ფორმაში ჩააყენოს, ვარჯიშისა და დიეტის დახმარებით, ალკოჰოლი უნდა დაივიწყოს.

ასტროლოგი: დავით ბუტიკაშვილი

წყარო: www.reitingi.ge

შსს სსიპ – 112
ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი
www.112.ge
112news@112.ge